სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N32 (9248) 21 ნოემბერი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

ჩოგორაც ჭროტოჯოლი ითჭალისწინებდა...

2

გიორგობას გილოცავთ!

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი

3

დათო ფურაბვილი მე-12 საჯარო სკოლაში

კომპიუტერები საჩუქრად წარჩინებული სწავლისათვის

ბეტონის გზა განეულჩის უმეძებ საქცჩელიბაში

ჟოგოჩს პროტოკოლი ითვალისწინებდნ...

თეა ბაბუნაშვილი



არჩევნების შედეგად არჩევანითა და მითქმა-მოთქმით ამ არჩევანის ირგვლივ, კიდევ ერთხელ, უკვე მეოთხედ შეიკრიბა საკრებულოს სხდომათა დარბაზში შემადგენლობა, მუნიციპალიტეტის ოთხწლიან ქრონიკებზე რომ უნდა აგოს პასუხი. როგორც პროტოკოლი ითვალისწინებს, სხდომა მუნიციპალიტეტის გამგებელ ვალერი ფოცხვერიასთან ერთად, №54-ე სამტრედიის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ნანა იმნაძემ გახსნა. 21 ოქტომბრის შედეგების უკვე ცნობილი მოკლე მიმოხილვის შემდეგ, რომლის კიდევ ერთხელ გაცნობას შეკრებილთათვის კანონი ითვალისწინებდა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ესეც პროტოკოლის გათვალისწინებით, სხდომის ხელმძღვანელობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველაზე უხუცეს წევრს, ტარიელ თევზაძეს გადასცა.

მეოთხე მოწვევის საკრებულოში 18 მაჟორიტარი "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წარმომადგენელია. 8 დეპუტატი მმართველი პარტიის სიით შევიდა მის შემადგენლობაში. რაც შეეხება ოპოზიციას, ორი წარმომადგენელი "ევროპული საქართველოს", ოთხი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", ერთიც "პატრიოტთა ალიანსის" სიით გახდა მეოთხე მოწვევის საკრებულოს ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს შემადგენლობა, სულ 33 დეპუტატით განისაზღვრება.

"თვალს თუ გადავავლებთ გასული წლების მუშაობას საკრებულოს წინა შემადგენლობით, დამეთანხმებით, რომ მეტი შეგვეძლო. მართალია, ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ყველაფერი გაცილებით უკეთ ყოფილიყო. ვიმედოვნებ, ის ნიუანსები და ხარვეზები, რაც დაგვრჩა, ამ მოწვევის საკრებულოს მუშაობის შედეგად აღმოიფხვრება და ჩვენი მცდელობა მუნიციპალიტეტის უკეთესი აწმყოსი, შედეგიანი იქნება." _ აღნიშნა საკრებულოს უხუცესმა წევრმა ტრიბუნიდან, როცა სხდომის თავმჯდომარეობა ჩაბარეს.

შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ამას შესაბამისი კანონი ითვალისწინებს. არჩეულ იქნა ხმის დამთვლელი და სამანდატო კომისიები. ხმის დამთვლელი სამკაციანი კომისიის შემადგენლობაში რაჟდენ ტორონჯაძის თავმჯდომარეობით, სამი წევრისგან გახლდათ. მდივნის ფუნქციას საკრებულოს ახალი წევრი, ბაია ინესაშვილი ასრულებდა. "პატრიოტთა ალიანსის" სიით გასული დეპუტატი, კამო კანდელაკი მისი მესამე წევრი გახლდათ. სამანდატო კომისიას ზაზა ადეიშვილი ხელმძღვანელობდა, დავით ამაღლობელი კომისიის მდივანი გახლდათ, ხოლო საკრებულოს კიდევ ერთ ახალ წევრს ლაშა რუსიას კომისიის მესამე წევრის პასუხისმგებლობა ხვდა წილად.

ახლად შეკრებილი საკრებულოს შემადგენლობის ერთიანი სია წარადგინა და კენჭისყრაზე დააყენა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა ადეიშვილმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხელის აწევით დაეთანხმნენ და ერთმანეთს საკანონმდებლო ორგანოს წევრობა ტაშით მიულოცეს დეპუტატებმა და დარბაზში მსხდომმა სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

მეოთხე მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების დადასტურების შემდეგ შემოსული განცხადებები განიხილეს. ისინი საინიციატივო ჯგუფების მიერ ფრაქციების ჩამოყალიბებასა და კომისიის თავმჯდომარეების არჩევას გულისხმობდა. "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს", ანუ უმრავლესობის საინიციატივო ჯგუფი ამავე სახელწოდების ფრაქციის შექმნის და თავმჯდომარის კანდიდატურის დამტკიცების, შესაბამისად, ოპოზიციური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის და მისი ხელმძღვანელის არჩევის საკითხს აყენებდა. დასახელებული გახლდათ საკრებულოს ხუთივე კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურაც.

სანამ არჩევნები ამჯერად საკრებულოს დარბაზში დაიწყებოდა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა განცხადებით, იდილიას არ დაგირღვევთ. რაც შეეხება 21 ოქტომბრის არჩევნებს, იგი ტოტალური გაყალბებით ჩატარდა", დარბაზის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს. მათსა და უმრავლესობას შორის შელაპარაკება ერთადერთი ხმაურიანი "ამბავი" გახლდათ საკრებულოს იმ სხდომაზე. "ნაციონალების" გზას დაადგა "ევროპული საქართველოც". საკუთარი პროტესტი მათაც სხდომის დატოვებით დააფიქსირეს. "ქვორუმი არ ჩავარდეს" _ მუნიციპალიტეტის გამგებლის ხუმრობა გასასვლელ კართან დაეწია მათ. "მართლა სკლეროზი ხომ არ გვჭირს" _ ასე დაიწყო და ზაზა ადეიშვილმა გაიხსენა, როგორ ტარდებოდა არჩევნები ხელისუფლებაში ამჟამინდელი ოპოზიციის ყოფნის დროს.

შემდეგ მოვლენები ისე წარიმართა, როგორც წინასწარ იყო განსაზღვრული. დარბაზში დარჩენილმა უმრავლესობამ, ისევე როგორც მესამე მოწვევის საკრებულოში, თავმჯდომარედ კვლავ ნუგზარ ჯამბურია აირჩიეს. მან მისი მხრიდან ამჯერადაც კობა ძიძიგურის კანდიდატურა დააყენა მოადგილის პოსტზე. საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებიც უცვლელია საკრებულოში: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, სამანდატო და საპროცედურო კომისიას მანანა სირბილაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას შალვა არზუმანიანი, ინფრასტრუქტურის კომისიას მერაბ უღრეღიძე, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას ბადრი შენგელია, სოციალურ საკითხთა კომისიას გიორგი ლეჟავა უხელმძღვანელებენ.

განსხვავებით წინა შემადგენლობიდან, ამჯერად ქალთა გენდერული ბალანსი რამდენადმე მათალია საკრებულოს შემადგენლობაში. უმრავლესობის 26 დეპუტატიდან 4 ქალია. ახალი წევრების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავებულია უმრავლესობის შემადგენლობა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულო, 2017 წლის 20 ნოემბრიდან უფლებამოსილია საკუთარი მოვალეობა შეასრულოს.

ბეტონის გზა განმუხურის შემდეგ სამტრედიაშია

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გომის თემის ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდნენ, სადაც უშუალოდ ვალერიანე ფოცხვერიასა და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის, გრიგოლ მიქელაძის ძალისხმევით ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. კერძოდ, ნიკურაძეების უბანში ახალი მეთოდით 1850 მეტრზე ბეტონის გზა იგება. მსგავსი ტიპის გზა საქართველოს მასშტაბით მხოლოდ განმუხურშია. გომის თემში სამუშაოებს საგზაო დეპარტამენტი ასრულებს.

სპეციალისტების აზრით, ბეტონის გზა პრიორიტეტული და გამოსადეგია მთაგორიან სოფლებში. იქ, სადაც მიწისქვეშა კომუნიკაციები არ გადის.

მის ქუჩაში ასფალტირებული გზა ახსოვს, თუმცა გომნატეხელი ელგუჯა არველაძის თქმით, მას ყავლი კარგა ხნის წინ ჰქონდა გასული. ის, რაც ამჟამად გომის თემში კეთდება, 71 წლის კაცისთვის მხოლოდ მისასალმებელია. ბატონი ელგუჯა ფიქრობს, რომ გზის მშენებლობა ახალგაზრდების სოფლიდან გადინებას შეაჩერებს. თუმცა, სურვილი აქვს, გზების მშენებლობის კუთხით მეტი გაკეთდეს, განსაკუთრებით სახნავ-სათეს სავარგულებამდე მისასვლელ გზებზე.

საუკუნის პროექტი უწოდა დავით ამაღლობელმა გომის თემში, კერძოდ, მთისძირში, ნიკურაძეების უბანსა და გომნატეხებში განხორციელებულ პროექტს. საკრებულოში გომის თემის მაჟორიტარი მოსახლეობის სახელით მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის მერს და პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს, მათ სოფლებში განხორციელებული პროექტების მხარდაჭერისათვის.

გომის თემში ჩატარებულ გზის სამუშაოებს თავის მხრივ უმაღლეს შეფასებას აძლევს პროფესორი მიხეილ ამაღლობელი. გამართული გზა მას 82 წლის დედის ყოველდღიურად მონახულებას უადვილებს.

გზის დაგების პარალელურად გომის თემში თავისი შემკრები კოლექტორებით ხიდ-ბოგირები მოეწყო, რაც ნაშალი მასის გაწმენდის კარგ საშუალებას იძლევა.

ზურაბ გოგიას თქმით პროექტის წარდგენა ეტაპების მიხედვით ტარდება. გომის თემის ორივე უბანზე სამუშაოთა ღირებულება 1 მილიონ 200 000 ლარამდეა.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში

ეს ესაა ჩატარდა ჯილეხის საწინააღმდეგო აცრები იმ მსხვილფეხა და წვრილფეხა შინაურ ცხოველებზე, რომლებიც ობიექტურად იყო აუცრელი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2000-მდე სული ასეთი პირუტყვია ვაქცინირებული.

"ამჟამად მიმდინარეობს აცრები ნოდულარულ დერმატიტზე, ეს გახლავთ მწერებიდან გადამდები დაავადება, რომელიც ხასიათდება სეზონური (გაზაფხულ-ზაფხული) აქტიურობით.

აცრები მთელ მუნიციპალიტეტს მოიცავს, იგი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს. მოსახლეობას ვთხოვთ, გაგებით მოეკიდონ ვაქცინაციის პროცესს". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონის წარმომადგენელმა სამტრედიაში, ვეტერინარმა, ექიმმა ზაზა მეგრელიშვილმა.

ლევან გაბეჩავა

ცვლილებები მთავრობაში

კადრები მართლაც წყვეტენ ყველაფერს

ლევან გაბეჩავა

სოციალიზმის დროინდელ ამ გამოთქმას აზრი, არსი და მნიშვნელობა არც დღეს დაუკარგავს.

კადრები ყოველთვის წყვეტდნენ და წყვეტენ ყველაფერს.

მთავრობაში კვლავ გადაადგილებებია.

ვინ დაემშვიდობა პრესტიჟულ თანამდებობას, გორგოლაჭებიან ფუმფულა ტყავის სავარძელს და ვინ რომელი მინისტრის პორტფელი ჩაიბარა, ამ წერილის მკითხველამდე მისვლამდეც ცნობილია და, ამდენად ამის შესახებ არაფერს ვიტყვი.

ერთი მინდა გამოხატვის, თავისუფალი სიტყვის თქმის უფლებით აღჭურვილმა განვაცხადო, როგორც წინათ, იმის წინათ და კიდევ უფრო ადრე და ადრე... კადრების ცვალებადობას არანაირი პოზიტივის მოტანა არ შეუძლია, თუ ყოველივე კარგად შემუშავებული, შედეგებზე გათვლილი გეგმით არაა გაკეთებული.

ერთი სიტყვითა და ცალსახა პასუხით, ნებისმიერი სამთავრობო საკადრო ცვლილების სიკეთე დღეს თუ არა ხვალ, ზეგ, შემდეგ უნდა იგრძნოს მასამ, ხალხმა.

კვების პროდუქტებზე, საწვავზე, მედიკამენტებზე... მზარდი ფასების, ლარის გაუფასურების პირობებში მხოლოდ იმით თვითკმაყოფილება, რომ რომელიმე მაჩვენებლით, რომელიმე ქვეყანას გავუსწარით, (საკითხავია, გავუსწარით კი?) არაფრისმთქმელია.

არც ის გახლავთ შვება ხალხისათვის, თუ რომელი მინისტრი გახდა განტევების ვაცი.

მეტი სიცხადისათვის დავკონკრეტდები: მაგალითად, განათლების მინისტრის შეცვლა პოზიტიურად ამ დარგზე და სფეროში დასაქმებულ ადამიანებზე, სისტემაზე უნდა აისახოს, შინაგან საქმეთა მინისტრის (ასევე მაგალითისათვის) შეცვლა, ამ სამინისტროს მუშაობაზე და ა. შ.

ერთი ხალხური ნათქვამისა არ იყოს _ "თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახეო" რომ ღაღადებს, იმ დღეში არ უნდა აღმოვჩნდეთ.

რაც შეეხება სარგებელს, სარგებელი ხალხისათვის მეტი სამუშაო ადგილები, გაზრდილი ხელფასები, პენსიები, ხელმისაწვდომი ფასები, იმედის პერსპექტივაა და სხვა არაფერი.

ეს ესაა ქვეყნის მასშტაბით დასრულდა 2017 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა _ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

ცნობილია საბოლოო შედეგები.

ვიმედოვნებთ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა (მერიები, საკრებულოები) დაკომპლექტების პროცესი დროში არ გაიწელება, რამეთუ ქვეყანასა და მის რეგიონებში, ყველა თვითმმართველ ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში გაცილებით აქტუალური საკითხებია გადასაწყვეტი.

რაც შეეხება ახალ კადრებს მთავრობაში, სასურველი ხალხისთვის, საამაყო მათთვის, კადრებისათვის, აუცილებელი ქვეყნისათვის მათი პროფესიონალიზმი, საქმის ცოდნა და სიყვარული უნდა იყოს და არა მათ მიერ გაჟღერებული სასაცილო ინიციატივები, ირონიის მომგვრელი განცხადებები.

დიდი სურვილი გვაქვს, სამთავრობო ცვლილებების კეთილმყოფელი გავლენა მალე იგრძნოს ქვეყანამ, ხალხმა.

კომპიუტერები საჩუქრად წარჩინებული სწავლისათვის

ნინო ნანიტაშვილი

ივანე მახარაძე, თორნიკე კალანდაძე, თორნიკე კოპალეიშვილი, მანანა ბოჭორიძე, გიორგი თადუმაძე, თორნიკე მსხილაძე, მარიამ სხვიტარიძე, ანი ვაჩეიშვილი, ანა თევზაძე, სალომე გიორგაძე, ეკა ართქმელაძე, გვანცა ესებუა, მარიამ ურუმაშვილი, თეიმურაზ ფხაკაძე, ლიკა შენგელია, ანა ძაგნიძე, დავით გოგიავა, თინათინ ცაგურია, დემეტრე ჯინჭარაძე, ქეთევან ჯინჭველეიშვილი, თამუნა ჯინჭველეიშვილი, თომა ბუთეიშვილი, რევაზ ადეიშვილი, ლიზი ხუჭუა, რომან ტრაპაიძე, შოთა სტურუა, მარიამ ლეჟავა, ქეთევან კუბლაშვილი, ნინო ხობაძე, სესილი გოგიბერიძე, მარიამ მხეიძე, მადლენა მიქაძე, მარიამ მეგენეიშვილი, ანა ზაქრაძე, ლუკა ხუჭუა, ლიზი ჩაჩუა, გიორგი გოგია, ნინო გეგეშიძე, ნინო სანიკიძე, ქეთევან ჩაჩუა, ქეთევან ბარდაკოვი, ანტონ ნადირაძე, თემურ ადეიშვილი, გიორგი თვალაბეიშვილი, თორნიკე თომაშვილი, ნინი კობეშავიძე, ნადია სანაია, გიორგი შანიძე, ნინო ცინცაძე, ანი სტურუა, თამარ დიდიძე, გიორგი გარუჩავა, ანნა ბიბილეიშვილი,

ნიკოლოზ ვაშაკიძე, ნინო კოხრეიძე, თამთა ნადარეიშვილი, ზურაბ თოდუა და ინგა ჩაჩუა ის სამტრედიელი ახალგაზრდები არიან, რომლებმაც 9 კლასი წარჩინებით დაასრულეს და სახელმწიფოსაგან საჩუქრად ძვირადღირებული ლეპტოპები მიიღეს.

13 ნოემბერს სამტრედიის საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეებს კომპიუტერები გადაეცათ. საზეიმო შეხვედრა ტრადიციულად ქუთაისის № 1 საჯარო სკოლაში გაიმართა. სამტრედიელი ახალგაზრდების იმდღევანდელ სიხარულს მათ პედაგოგებთან ერთად სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია იზიარებდნენ.

პორტატული კომპიუტერ ACEM-ის ღირებულება 1259 ლარსა და 99 თეთრს შეადგენს, წინა წლებთან შედარებით უფრო მაღალი ხარისხისაა.

ქუთაისში, პირველ საჯარო სკოლაში იმერეთის მხარის წარჩინებულ მოსწავლეებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ზვიად როსტომაშვილმა, მოადგილემ, მამია მორალიშვილმა და სააგენტოს თანამშრომლებმა ლელა სვიმონიამ და ნინო სოზიაშვილმა კომპიუტერები გადასცეს. ქუთაისის შემდეგ სამტრედია მე-2 ადგილზე იყო წარჩინებული მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით.

13 ნოემბერს ქუთაისში კომპიუტერები დაურიგდათ ასევე ვანის, ხონის, ქუთაისის საჯარო სკოლის მოსწავლეებს. მათ სიტყვით მიმართა ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ბადრი ვაშაკიძემ. ამის შემდეგ კომპიუტერების საზეიმო გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, სამტრედიის, ვანის მერებმა და ინფრასტრუქტურის სააგენტოს წარმომადგენლებმა.

ყურადღების ცენტრში მოექცნენ დასახელებული რაიონების საბაზო საფეხურის კურსდამთავრებულები, რომლებმაც სწავლა გააგრძელეს კადეტთა კორპუსში. მათ რიგებს ამშვენებს სამტრედიიდან № 1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული გიორგი თადუმაძე.

წარმატებული სწავლისათვის 62-მა სამტრედიელმა მეათეკლასელმა მიიღო მაღალი ხარისხის პორტატული კომპიუტერი. 7 პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეა, 2 _ მე-2 საჯარო სკოლის, 9 _ მე-3 საჯარო სკოლის, 5 _ მე-4 საჯარო სკოლის, 2 _ მე-7 საჯარო სკოლის, 1 _ მე-8 საჯარო სკოლის, 8 _ მე-10 საჯარო სკოლის, 10 _ მე-11 საჯარო სკოლის, 8 _ მე-8 საჯარო სკოლის. რაც შეეხება სოფლებს, 4 მოსწავლე დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლიდანაა, იანეთიდან _ 1, დაბა კულაშიდან _1, ნაბაკევიდან _ 1, დაბლა გომიდან _ 1.

დათო ტურაშვილი მე-12 საჯარო სკოლაში

მწერალი დათო ტურაშვილი 15 ნოემბერს სამტრედიაში მე-12 საჯარო სკოლას სტუმრობდა. ევროპის ფონდის მიერ დაფინანსებული "საქართველოს მენტალური დაახლოება ევროპასთან _ მწერლები ევროპული ღირებულებებისთვის" პროექტის ფარგლებში ახალგაზრდა ქართველი შემოქმედები რატი ამაღლობელი, ლაშა ბუღაძე და დათო ტურაშვილი სტუდენტებისთვის და მოსწავლეებისთვის საჯარო ლექციებს, შეხვედრა-დიალოგებს მართავენ ფართო საზოგადოებასთან.

მსგავსი ტიპის საჯარო ლექცია გაიმართა მე-12 საჯარო სკოლის უფროსკლასელთათვის. მწერალთან დიალოგის გამართვის სურვილი გამოთქვეს პედაგოგებმაც.

თავდაპირველად სამტრედიის მე-12 საჯარო სკოლამ საპროექტო განაცხადი გააკეთა და თანხმობა მისცა ევროპის ფონდს ზემოაღნიშნულ პროექტში მონაწილეობისათვის.

მწერალმა მე-12 საჯარო სკოლის დარბაზში წაიკითხა ლექცია "ევროპული ფასეულობები ქართულ ლიტერატურასა და ისტორიაში", გაშიფრა ევროკავშირი, როგორც იდეა და როგორც რეალობა, ისაუბრა ევროკავშირის შექმნის პრინციპებზე და ევროპული ღირებულებების გარშემო გაერთიანებული სახელმწიფოების შესახებ. ასევე, თანამედროვე გამოწვევებსა და საქართველოზე, როგორც ისტორიულად ევროპული არჩევანის მქონე ქვეყანაზე.

დათო ტურაშვილი, მწერალი: "პროექტი _ "მწერლები ევროპული ღირებულებებისათვის" მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით მომავალი თაობისა და რეგიონის სეგმენტის ინფორმირებას ევროპულ ღირებულებათა მიმართულებით და წარმოადგენს ახალგაზრდა ქართველი მწერლების დასავლური ფასეულობებისადმი მიძღვნილ კულტურულ-საგანმანათლებლო აქციათა მთელ კასკადს, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში, შეძლებისდაგვარად მოიცავს საქართველოს მრავალ რეგიონსა და დედაქალაქს."

ნინო ნანიტაშვილი

წარსული აწმყოსათვის

გვესაუბრება პროფესორი ვაჟა თვალავაძე

ლევან გაბეჩავა

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, მრავალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო შრომის, საინტერესო წიგნთა ავტორს, პროფესორ ვაჟა თვალავაძეს სამტრედიელთა წინაშე ნამდვილად არ სჭირდება წარდგენა.

სასიქადულო მამულიშვილი სამტრედიელია და, ამდენად არაა საკვირველი მისი ფიქრები მშობლიური რაიონის ირგვლივ რომ ტრიალებს.

ფასდაუდებელია წვლილი, რომელიც პროფესორმა მისი ერთ-ერთი წიგნით, "სამტრედია 1870-1914 წლებში", შეიტანა სამტრედიისა და ზოგადად ქვეყნის ისტორიაში. წიგნი ისეა შედგენილი, რომ დღესაც დიდ სამსახურს უწევს მკვლევარ-ისტორიკოსთა ახალ თაობას, აბიტურიენტებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს.

კიდევ ერთი კეთილი, უაღრესად საჭირო და პატრიოტული ინიციატივის ავტორად მოგვევლინა პროფესორი, რამდენიმე ხნის წინ მან სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისში (1914 წლამდე) გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან სამტრედიისა და მისი სოფლების ყოფა-ცხოვრებაზე, თუ რითი სუნთქავდნენ ისინი, რა იყო მათთვის საოცნებო და ა. შ. ეს მასალები იბეჭდებოდა "ივერიაში", "დროებაში", "მოამბეში", "კვალში", "ბათუმის გაზეთში".

1500-მდე ნაბეჭდ თაბახს მოიცავს პროფესორ ვაჟა თვალავაძის მიერ მშობლიური რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის გადმოცემული მასალა.

ვისარგებლეთ თანამედროვე კომუნიკაციებით და ამ დღეებში, პროფესორს ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

_ ბატონო ვაჟა, თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით მათ შორის, ვინც წრფელი გულით მოგვილოცეთ გაზეთის დაარსების 87-ე წელი, გმადლობთ. გთხოვთ გვითხრათ, რითი იყო ნაკარნახევი, რომ ესოდენ მდიდარი მასალა გადმოეცით სამტრედიის მუზეუმს?

_ თავისთავად მუზეუმის არსებობა სასიამოვნო და საჭირო, აუცილებელია, მით უფრო ისეთი ახალგაზრდა რაიონისათვის, როგორიც სამტრედიაა. ვიმედოვნებ, მუზეუმის თანამშრომელთა ძალისხმევით ეს მასალები ხელმისაწვდომი იქნება ახალგაზრდებისათვის და არა მარტო მათთვის, ყველა დაინტერესებული პირისათვის.

უზომოდ კმაყოფილი ვიქნები, თუ ამით მცირეოდენ სამსახურს გავუწევ სამტრედიელებს, აი, რამ მიკარნახა ყოველივე.

რაც შეეხება წარმოდგენილ მასალებს, ისინი არაერთგვაროვანია, ზოგი საერთო ეროვნულ პრობლემებს ეხება, ზოგში ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ საზრუნავზეა საუბარი და ა. შ. მათი შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ისტორიზმის პრინციპები!

პირველი ქართული გაზეთები "საქართველოს გაზეთი" (1819), "ტფილისის უწყებანი" (1828) არ გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ინტერესებს, ვინაიდან მათში იბეჭდებოდა ცნობები "გამოკრებილნი რუსული გაზეთებიდან". დ. ერისთავის მიერ გამოცემული ჟურნალი "ცისკარი" (1852) და ილია ჭავჭავაძის "საქართველოს გაზეთი" (1863) იყო სალიტერატურო გაზეთები, ანუ მათში მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა იბეჭდებოდა....

_ გასაგებია, რა გარემოებებმა მისცეს ბიძგი საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლებას და როდიდან გაზდა შესაძლებელი მოსახლეობას საკუთარი შეხედულება გამოეთქვა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე პრესის მეშვეობით. რამდენად იყო ჩართული ჩვენი რაიონის მოსახლეობა საქართველოში მიმდინარე ისტორიული მნიშვნელობის გარდაქმნებში?

_ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში გამოცოცხლდა აღებ-მიცემობა, გაიზარდა სამრეწველო საწარმოთა რიცხვი, დაჩქარდა, განვითარდა ტექნიკური პროგრესი, განვითარდა სატელეგრაფო კავშირი. ყველაფერმა ამან საქართველოში საზოგადოებრივი აზრი გამოაცოცხლა. ამავე დროს საქართველოში დაბრუნდნენ რუსეთსა და ევროპაში სწავლადამთავრებული პირები "თერგდალეულნი", რომლებიც კარგად იცნობდნენ ევროპულ ლიტერატურას, საზღვარგარეთის ქვეყნების მაშინდელ პოლიტიკას. მათი დამსახურებაა ისიც, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში, 1871 წლისათვის ქართულ ენაზე ხუთი პერიოდული გამოცემა არსებობდა: "მნათობი", "დროება", "ცისკარი", "კრებული", "სასოფლო გაზეთი". მოსახლეობას უკვე საშუალება ეძლეოდა გამოეთქვა აზრი პრესის საშუალებით.

ნამდვილად საამაყოა ის, რომ სამტრედიის მოსახლეობა მოვლენების შუაგულში იყო, აქტიურად ერთვებოდნენ ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული მნიშვნელობის პროცესებში, რაც ასახულიცაა მათ მიერ პრესისათვის გაგზავნილ პუბლიკაციებში.

_ რაკი თქვენი სურვილიცაა, რომ თქვენს მიერ მუზეუმისათვის გადმოცემულ მდიდარ დოკუმენტურ მასალას გაეცნოს საზოგადოება, "სამტრედიის მაცნე" პერიოდულად გააშუქებს წარმოდგენილი დოკუმენტებიდან მეტად საინტერესო პუბლიკაციებს. მანამ კი თქვენი აზრი გვაინტერესებს, რა მნიშვნელობა აქვთ დღეს ამ მასალებს და რა უნდა იქნას გათვალისწინებული მათი გაცნობისას?

_ ქართულ პერიოდიკაში სამტრედიიდან გაგზავნილი კორესპონდენციების გაცნობისას უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ თუ მანამ პრესის მესვეურები, ჟურნალ-გაზეთებისა და მწერლების ნაკლებობას უჩიოდნენ, ახლა მათ სხვა დაბრკოლებებთან ჰქონდათ საქმე. კერძოდ, მკითხველთა დიდი ნაწილი მოუმზადებელი იყო სერიოზული წერილებისათვის, საამისოდ მათ ელემენტარული ჩვევებიც არ გააჩნდათ. ახალი დროის საგნებისა და ახალი მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები მათთვის გაუგებარი, ძნელად მისაწვდომი იყო, ამიტომ კორესპონდენციები მასებისათვის გასაგები რომ ყოფილიყო, ხშირადაა გამოყენებული მოხდენილი აფორიზმები, კალამბურები და ა. შ. ამავდროულად, ამ მასალებს არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

წარსულის ცოდნისა და შესწავლის გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ დარგში წინსვლა შეუძლებელია, ამიტომ ამ მასალების სათანადო წესრიგში მოყვანა და გასაჯაროება საშური საქმეა.

სამტრედიაში ყოველთვის იყვნენ "კაი პურის მჭამელი ბიჭები", მაგრამ ამავე დროს ადგილობრივი მოსახლეობა სულიერი საზრდოსათვის ძალისხმევას არ იშურებდა. მჯერა, მწამს რომ სამტრედიისა და სამტრედიელების შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევრის კორესპონდენციებს მკითხველი არ მოაკლდება.

_ ფრთებს შლის, თანდათან ფართოვდება სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. აქ დასაქმებული ადამიანები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ მუზეუმში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მიიზიდონ, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, გაეცნონ სამტრედიის წარსულს, როგორც მატერიალურ, ყოფით ნივთებს, ექსპონატებს, ისე იმ უმდიდრეს დოკუმენტურ მასალას, თქვენ რომ მუზეუმს (სამტრედიას, სამტრედიელებს) გადმოგვეცით. თავს უფლებას მივცემ მადლობა გითხრათ სამტრედიელთა სახელით ამ კეთილი საქმისათვის.

ბატონო ვაჟა, ჩვენი საუბარი უდიდესი რელიგიური დღესასწაულების, მთავარანგელოზობისა და გიორგობის წინა დღეებში მიმდინარეობს. ნება მომეცით მოგილოცოთ და საუკეთესო სურვილებით დაგემშვიდობოთ.

_ გმადლობთ, მეც ვულოცავ ყველა სამტრედიელს, გფარავდეთ წმინდა გიორგი!

ვაჟა თვალავაძე: დაიბადა სამტრედიაში, დაამთავრა რკინიგზის სამტრედიის № 13 საშუალო სკოლა, შემდეგ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

1978 წელს დაიცვა საკანდიდატო, 2003 წელს კი, სადოქტორო დისერტაცია.

არის არაერთი ჰოპულარული წიგნის ავტორი. თანამშრომლობს პერიოდულ გამოცემებთან.

ფილიმონ ქორიძე _ ქართული საგალობლის გადამრჩენელი

20 ნოემბერს გომის თემის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში ეკლესიის მშენებლობისთვის საძირკველი გაიჭრა. მაღალყოვლადუსამღვდელოესის, ხონი-სამტრედიის ეპარქიის მეუფე საბას ლოცვა-კურთხევით აქ ფილიმონ ქორიძის სახელობის ეკლესია უნდა აშენდეს.

ფილიმონ ქორიძე წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა, და რადგანაც იგი წარმოშობით სამტრედიელი იყო, გადაწყდა, მისი სახელობის ტაძარი სამტრედიაში აეგოთ.

ქორიძეების ოჯახი გამოჩინებულიდან არის. ფილიმონ ქორიძის მამა მღვდელი იყო.

საქართველოს პატრიარქმა დაავალა მეუფე საბას, წმინდანად შერაცხვის შემდეგ სამტრედიაში პირველივე ტაძრის მშენებლობა ფილიმონ ქორიძისთვის მიეძღვნათ. მალევე გამოჩნდა პიროვნება, რაგული ჩაჩუა, რომელმაც თავის თავზე აიღო ეკლესიის მშენებლობა. მის წამოწყებას დაბლა გომის მოსახლეობამ მხარი აქტიურად დაუჭირა.

20 ნოემბერს ეკლესიის საძირკვლის გაჭრას ესწრებოდა ჯონი ნადირაძე, რომელმაც "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში ფილიმონ ქორიძის დამსახურებაზე ისაუბრა: "საუბარია უდიდეს მომღერალზე, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. მან, ფაქტობრივად, გადაარჩინა ქართული საგალობელი. იგი დროებით იყო ჩამოსული საქართველოში, თუმცა ისე მოხდა, რომ მას სამშობლოდან წასვლის სურვილი აღარც გასჩენია".

რაგული ჩაჩუას მხარში მთელი სოფელი უდგას. პროფესიით მშენებელი ამჟამად სამშენებლო ბიზნესში მოღვაწეობს. საძირკველის გაჭრას თავად რაგული ჩაჩუა დაესწრო. დაბლა გომში ფილიმონ ქორიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობა შეაფასა მუნიციპალიტეტის მერმა. ვალერიანე ფოცხვერიას თქმით, სამნავიანი ბაზილიკური სტილის ტაძარი არა მარტო გომის, არამედ მთელი სამტრედიის მშვენება იქნება და ქრისტიანული სარწმუნოების გაძლიერების ერთ-ერთ კერად გადაიქცევა.

ნიხრ ნანიტაშვილი

რემპიონატი ნარდში გაგლაცვლილ მინაგლეტა ნლევნას მიეძღვნა

მე-15 წელია, რაც სოფელ ღანირში ნარდის ჩემპიონატი იმართება. სამაგიდო სპორტის მოყვარულთათვის კლუბი ტრადიციულად ატარებს ტურნირს, რომელიც გამოავლენს სოფლის სამ საუკეთესო მონარდეს.

თამაზ გოგიბერიძე, ტურნირის ორგანიზატორი: "ტრადიციად ვაქციეთ, როცა ნარდის თამაშის მოყვარულთა კლუბის წევრი გარდაიცვლება, იმ წელს ვატარებთ მისი ხსოვნის ტურნირს. 2017 წლის ტურნირი ღანირის ორგზის ჩემპიონის, დავით ნიკოლაიშვილის, ასევე, თამაზ გაბელაიას, ამირან შენგელიას და ალიოშა მანჯგალაძის ხსოვნას მიეძღვნა. ეს ოთხი ადამიანი გამოაკლდა ნარდის თამაშის მოყვარულთა კლუბს".

წლევანდელ შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო ნარდის თამაშის 29 მოყვარულმა. ტურნირი ორ ჯგუფად, წრიული სისტემით ჩატარდა. სამ პარტიას უნდა გამოევლინა გამარჯვებული. ტურნირი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჯგუფში საუკეთესო მონარდეებმა მოიპოვეს ნახევარფინალში და ფინალში თამაშის უფლება. პირველი ადგილებისთვის იბრძოდნენ ჯონი შენგელია და არჩილ შავაძე. მათ შორის გაიმარჯვა ჯონი შენგელიამ. მეორე ადგილი არჩილ შავაძეს ერგო. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოვლინდა აკაკი ოდილავაძე.

გამარჯვებულებს კლუბმა მედლები და საპატიო სიგელები გადასცა.

ნიხრ ნანიტაშვილი



ძამის ხეობის ბერ-მონაზონთა პორტრეტები

"ვავითავისე, შთავონების წყარო არ უნდა მქონდეს. უნდა ვხატო არა იმიტომ, რომ მუზა მომივიდა, არამედ იმიტომ, რომ გასაკეთებელია..."

როგორც ჩვენი რესპონდენტი ივონებს, ბავშვობისას ფანქრით ხელში მოუნათლავთ. რამდენად იქონია გავლენა ამან მომავალი მხატვრის დიზაინერის, მოქანდაკის ცხოვრებაზე, ან იყო თუ არა ეს სულაც უბრალო დამთხვევა, რთული სათქმელია, მაგრამ ბესიკ დულაშვილის შემოქმედებას რომ პროფესიონალის ბეჭედი აზის, არანაკლი ამბავი და ადგილად შესამჩნევი ფაქტია.



მის პოპულარობას განსაკუთრებით კარიკატურების ავტორობამ შეუწყო ხელი. თავად წერს: "ადრეულ ასაკში კარიკატურა ჩემთვის მხოლოდ გართობა იყო. სკოლაში მასწავლებელი ცუდ ნიშანს რომ დამიწერდა, ვაშარჟებდი და ამაზე ბავშვები ვიცინოდით. მერე კლასელებს ვხატავდი, შემდეგ _ ჯგუფელებს. 2006 წელს "ალიაში" დავიწყე მუშაობა. ერთხელ თანამშრომელი დავხატე. ეს რომ იქ ნახეს, რუბრიკა მოიფიქრეს, ფორუმიდან აქტუალურ თემაზე უნდა შემექმნა შარჟები. ასე გახდა ეს ჩემი პროფესია...

ახლა აკადემიური შარჟია გავრცელებული, რადგან ვიზუალურად კარგად აღიქმება. საერთოდ, კარიკატურა რაც უფრო მარტივად და ზუსტად არის გაკეთებული, მით უკეთესია. აი, გიგლა ფირცხალავამ ავტოშარჟი ექვსი ხაზით დახატა და უნიკალური რაღაც გამოვიდა. დღეს თანამედროვედ შესრულებულს ანიჭებენ უპირატესობას, მსოფლიოშიც კი შარჟებს უკვე ზეთის საღებავებით ხატავენ".

მხატვრის ბოლოდროინდელი მუშაობის შედეგი, რომლის ნახვის საშუალებაც "სამტრედიის მაცნეს" მკითხველს ეძლევა, ბერ-მონაზონთა გრაფიკული პორტრეტებია. ბატონი ბესიკი სერიის შექმნის ისტორიას გვიამბობს:

_ ძამის ხეობაში ყოფნის დროს კირქვის ნაჭერი ვნახე, რაღაც მეტალის ფირფიტაც ვიპოვე, საჭრეთელი გავაკეთე და ორნამენტის კვეთა დავიწყე. საბერიოს მამათა მონასტრის წინამძღვარს, მამა იოანეს, მორთულობა მოეწონა და კანკელის მოჩუქურთმება შემომთავაზა. ეკლესიის მოლამაზება ძალიან დიდი მადლია, რუდუნებით მივყევი საქმეს: ქაღალდის ფორმატები ვიყიდე, ესკიზები მოვხაზე და ქვაზე გადატანას შევუდექი. მამა იოანე მამოწმებდა ხშირად: _ ბესარიონ, ხომ ხვდები, რამხელა პასუხისმგებლობაა კანკელის მოჩუქრომებაო? _ მეღიმებოდა. აი, სწორედ მაშინ დავხატე ორი ბერი, მამა თეოდორე და მამა გობრონი...

ქეთევან წამებულის სახელობის მონასტრის დღეს მამა იოანემ მროველ-ურბნელ მიტროპოლიტ იობს აჩვენა ეს ნახატები. მეხსიერებიდან არ ამომივა მაღალყოვლადუსამღვდელოესის გაბრწყინებული თვალები. მოეწონა, მაკურთხა, ძამის ხეობის ბერ-მონაზონთა პორტრეტების დახატვა და გამოფენის მოწყობა შემომთავაზა. მარტივი საქმე არ იყო, არავითარი კომფორტი. ბერების დაყოლიებაც ძნელია. რომ არა მეუფის კურთხევა, ბევრი ბერი არც დამთანხმდებოდა. ერთი სიტყვით, როგორღაც მოვახერხე და 50 ბერ-მონაზვნის პორტრეტი თვე-ნახევარში დავხატე. ნამუშევრები გამოიფინა...

ამ შემთხვევაში ბესიკ დულაშვილი როდია მთავარი. უწინარესად იმ ბერ-მონაზონთა კეთილი საქმე უნდა შევიცნოთ, რომლებიც დროს დილიდან დილამდე ლოცვაში ატარებენ. არაა იოლი მათი ცხოვრება.

იმ სამი თვის განმავლობაში, ძამის ხეობაში რომ გავატარე, მე სასულიერო პირთა საოცარი თავდადება ვნახე ღვთისა და ერის წინაშე...

ვლადა კაკაბაძე



სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი

		სამტრედიის მუნიციპალიტეტი				
		2016 წლის ტოტალი			2017 წლის ცვლა	
			მათ შორის			მათ შ
დასახელება	2015 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	14,061.0	14,404.5	3,585.5	10,819.0	14,804.4	3,270.5
გადასახადები	1,882.2	4,091.7	0.0	4,091.7	4,200.0	0.0
გრანტები	10,717.2	8,985.1	3,585.5	5,399.6	7,906.6	3,270.5
სხვა შემოსავლები	1,461.6	1,327.7	0.0	1,327.7	2,697.8	0.0
ხარჯები	10,390.2	9,926.9	459.1	9,467.8	9,822.0	407.9
შრომის ანაზღაურება	1,748.8	2,117.4	84.8	2,032.6	1,826.0	81.8
საქონელი და მომსახურება	1,792.6	1,361.9	283.8	1,078.1	1,422.2	271.3
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	5,766.5	4,965.0	86.5	4,878.5	4,843.6	86.7
გრანტები	322.9	367.4	0.0	367.4	1.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	619.5	947.6	4.0	943.6	1,009.8	4.6
სხვა ხარჯები	139.9	167.6	0.0	167.6	719.4	43.5
საოპერაციო სალდო	3,670.8	4,477.6	3,126.4	1,351.2	4,982.4	2,782.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,524.4	3,599.6	3,214.3	385.3	6,402.5	2,879.3
ზრდა	3,567.8	3,686.5	3,214.3	472.2	6,608.4	2,879.3
კლება	43.4	86.9	0.0	86.9	205.9	0.0
ჩოლიანი სალდო	146.4	878.0	-87.9	965.9	-1,420.1	-96.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	140.1	768.5	-157.6	926.1	1,527.0	-177.1
ზრდა	140.1	926.2	0.0	926.2	0.0	0.0
ვალდებულებები და დეპოზიტები	140.1	926.2		926.2	0.0	
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საფინანსო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	157.7	157.6	0.1	1,527.0	177.1
ვალუტა და დეპოზიტები		157.6	157.6		1,527.0	177.1
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.1	0.0	0.1	0.0	0.0
საფინანსო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-6.3	-109.5	-69.7	-39.8	-106.9	-80.4
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	6.3	109.5	69.7	39.8	106.9	80.4
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	6.3	109.5	69.7	39.8	106.9	80.4
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

სამტრედიის მუნიციპალიტეტი

დასახელება	კოდი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები		**14,104.4**	**14,491.5**	**3,585.5**	**10,906.0**	**15,010.3**	**3,270.5**	**11,739.8**	**11,350.0**	**187.0**	**11,163.0**
შემოსავლები	1	14,061.0	14,404.5	3,585.5	10,819.0	14,804.4	3,270.5	11,533.9	11,350.0	187.0	11,163.0
არაფინანსური აქტივების კლება	31	43.4	86.9	0.0	86.9	205.9	0.0	205.9	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება	32	0.0	0.1	0.0	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შემოსავლები	1	14,061.0	14,404.5	3,585.5	10,819.0	14,804.4	3,270.5	11,533.9	11,350.0	187.0	11,163.0
გადასახადები	11	1,882.2	4,091.7	0.0	4,091.7	4,200.0	0.0	4,200.0	4,200.0	0.0	4,200.0
საშემოსავლო გადასახადი			1,091.2		1,091.2	1,200.0		1,200.0	1,100.0		1,100.0
ქონების გადასახადი	113	1,882.2	3,000.5	0.0	3,000.5	3,000.0	0.0	3,000.0	3,100.0	0.0	3,100.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	795.2	1,771.3		1,771.3	2,132.0		2,132.0	2,232.0		2,232.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112		44.0		44.0	0.0		0.0	0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	15.2	14.8	0.0	14.8	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	5.5	0.0		0.0	10.0		10.0	10.0		10.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	9.7	14.8		14.8	0.0			0.0		0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	**140.4**	**169.5**	**0.0**	**169.5**	**55.0**	**0.0**	**55.0**	**55.0**	**0.0**	**55.0**
ფიზიკურ პირებიდან	1131141	123.3	113.6		113.6	50.0		50.0	50.0		50.0
იურიდიულ პირებიდან	1131142	17.1	55.9		55.9	5.0		5.0	5.0		5.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	**931.4**	**1,000.9**	**0.0**	**1,000.9**	**803.0**	**0.0**	**803.0**	**803.0**	**0.0**	**803.0**
ფიზიკურ პირებიდან	1131151	24.2	20.2		20.2	3.0		3.0	3.0		3.0
იურიდიულ პირებიდან	1131152	907.2	980.7		980.7	800.0		800.0	800.0		800.0
გრანტები	13	**10,717.2**	**8,985.1**	**3,585.5**	**5,399.6**	**7,906.6**	**3,270.5**	**4,636.1**	**4,693.1**	**187.0**	**4,506.1**
საბიუჯეტო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	10,717.2	8,985.1	3,585.5	5,399.6	7,906.6	3,270.5	4,636.1	4,693.1	187.0	4,506.1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	**6,369.9**	**5,582.0**	**182.4**	**5,399.6**	**4,695.1**	**189.0**	**4,506.1**	**4,693.1**	**187.0**	**4,506.1**
გათანაბრებითი ტრანსფერი		6,196.1	5,399.6		5,399.6	4,506.1		4,506.1	4,506.1		4,506.1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		173.8	182.4	182.4	0.0	189.0	189.0	0.0	187.0	187.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	**4,347.3**	**3,403.1**	**3,403.1**	**0.0**	**3,211.5**	**3,081.5**	**130.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		2,174.4	2,684.2	2,684.2		3,081.5	3,081.5		0.0	0.0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		700.2	718.9	718.9		0.0	0.0		0.0	0.0	0.0
სხვა		**1,472.7**	0.0	**0.0**		130.0	**0.0**	**130.0**	0.0	**0.0**	
სხვა შემოსავლები	14	**1,461.6**	**1,327.7**	**0.0**	**1,327.7**	**2,697.8**	**0.0**	**2,697.8**	**2,456.9**	**0.0**	**2,456.9**
შემოსავლები საკუთრებიდან	141	365.6	426.5	0.0	426.5	530.2	0.0	530.2	429.9	0.0	**429.9**
პროცენტები	**1411**	62.9	93.3		93.3	242.0		242.0	200.0		200.0
რენტა	**1415**	**302.7**	**333.2**	**0.0**	**333.2**	**288.2**	**0.0**	**288.2**	**229.9**	**0.0**	**229.9**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	291.8	310.1		310.1	257.2		257.2	219.9		219.9
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	10.9	23.1		23.1	31.0		31.0	10.0		10.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	**283.0**	**344.3**	**0.0**	**344.3**	**1,717.2**	**0.0**	**1,717.2**	**1,627.0**	**0.0**	**1,627.0**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**1422**	**272.4**	**324.3**	**0.0**	**324.3**	**1,705.2**	**0.0**	**1,705.2**	**1,615.0**	**0.0**	**1,615.0**
სანებართვო მოსაკრებელი	14223	16.0	35.0		35.0	10.0		10.0	5.0		5.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0.4	0.2		0.2	0.2		0.2	0.0		0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	107.4	145.6		145.6	1,570.5		1,570.5	1,500.0		1,500.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	148.6	143.5		143.5	124.5		124.5	110.0		110.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**1423**	**10.6**	**20.0**	**0.0**	**20.0**	**12.0**	**0.0**	**12.0**	**12.0**	**0.0**	**12.0**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	10.6	20.0		20.0	12.0		12.0	12.0		12.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	**784.6**	**545.6**		**545.6**	**450.4**		**450.4**	**400.0**		**400.0**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	17.4	11.3		11.3	0.0		0.0	0.0		
არაფინანსური აქტივების კლება	**31**	**43.4**	**86.9**	**0.0**	**86.9**	**205.9**	**0.0**	**205.9**	**0.0**	**0.0**	**0.0**
მირითადი აქტივები	311	12.4	36.4		36.4	5.0		5.0	0.0		**0.0**
არაწარმოებული აქტივები	314	31.0	50.5	0.0	50.5	200.9	0.0	200.9	0.0	0.0	**0.0**
მიწა	**3141**	31.0	50.5		50.5	200.9		200.9	0.0		0.0
ფინანსური აქტივების კლება	**32**	**0.0**	**0.1**	**0.0**	**0.1**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
საგარეო	322	0.0	0.1	0.0	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	**0.0**
აქციები და სხვა კაპიტალი	**3225**		0.1		**0.1**	**0.0**			0.0		

კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წ
			სულ	მათ შორის		სულ
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	13,964.3	13,722.9	3,743.1	9,979.8	16,537.3
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2,237.4	2,636.1	0.0	2,636.1	2,576.0
01 01	სამტრედიის საკრებულო	591.2	654.8	0.0	654.8	643.2
01 02	სამტრედიის მერია	1,646.2	1,981.3	0.0	1,981.3	1,918.8
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	14.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	426.3	110.1	95.2	14.9	115.0
02 01	სანკანტონო სატუსაღოებებს მართავს სამსახური	328.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02	ქალაქის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	98.3	110.1	95.2	14.9	115.0
03 00	არქიტექტურულ-კულტურული მემკვიდრეობის, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4,958.9	5,350.9	3,557.4	1,793.5	8,181.4
03 01	გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება	2,462.5	3,246.4	2,869.2	377.2	5,765.8
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,668.5	1,118.0	0.0	1,118.0	1,773.1
03 02 01	აგან სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	609.7	646.4	0.0	646.4	687.1
03 02 02	დასუფთავება	30.0	11.4	0.0	11.4	11.1
03 02 03	ხიდაშენებლობა	95.5	99.3	0.0	99.3	661.4
03 02 04	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	653.8	22.5	0.0	22.5	46.8
03 02 05	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	279.5	337.6	0.0	337.6	366.4
03 02 06	შპს სამტრედიის საქალაქო მშენებლობის და კომუნალური მეურნეობის გაერთიანება	0.0	0.8	0.0	0.8	0.0
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	184.3	298.3	0.0	298.3	540.6
03 03 01	საგადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო სახაზოგადოებრივი დოკუმენტაციის მომზადება	20.4	5.0	0.0	5.0	5.0
03 03 02	აგან სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქანთეონის, სასაფლაოების ტერიტორიის გამწვანებისა და სახელოვნო მეურნეობის გაერთიანება	74.0	11.6	0.0	11.6	0.0
03 03 03	სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	89.9	136.3	0.0	136.3	226.6
03 03 04	ს(ა)ან სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	0.0	145.4	0.0	145.4	309.0
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	638.6	688.2	688.2	0.0	98.3
03 05	სოფლის მეურნეობის განვითარება	5.0	0.0	0.0	0.0	3.6

თავ. kodi	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2015 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელ ბიუ ფონ გამო ტრან
04 00	განათლება	1,640.6	1,522.8	0.0	1,522.8	1,929.9	
04 01	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა (ბაღები და ბაგა-ბაღებიგაერთიანება	1,399.5	1,348.0	0.0	1,348.0	1,432.0	
04 03	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლეთ-ახალგაზრდობის სახლი	241.1	174.8	0.0	174.8	171.2	
04 04	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა	0.0	0.0	0.0	0.0	326.7	
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	3,681.9	2,737.1	0.0	2,737.1	2,157.3	
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2,232.7	1,484.7	0.0	1,484.7	918.6	
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	48.6	432.7	0.0	432.7	137.5	
05 01 02	სპორტული სკოლები	2,184.1	1,052.0	0.0	1,052.0	781.1	
05 01 02 01	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსწო სპორტული კლუბი	71.4	73.9	0.0	73.9	67.8	
05 01 02 02	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა	143.8	169.2	0.0	169.2	151.3	
05 01 02 03	აარსებ საგრესსიული კლუბი "ჯიკო"	81.9	81.8	0.0	81.8	75.5	
05 01 02 04	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელოვნებათა კლუბი "სამტრედია"	152.0	104.5	0.0	104.5	94.0	
05 01 02 05	შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"	248.8	232.9	0.0	232.9	245.0	
05 01 02 06	აარსებ "ჯავშირი- საფეხბურთო კლუბი სამტრედია"	1,325.5	231.2	0.0	231.2	0.0	
05 01 02 07	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"	160.7	158.5	0.0	158.5	147.5	
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,030.6	841.9	0.0	841.9	842.1	
05 02 01	სახელოვნებო სკოლები	545.6	460.3	0.0	460.3	456.1	
05 02 01 01	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N 1 სახელოვნებო სკოლა	203.5	136.9	0.0	136.9	160.2	
05 02 01 02	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა	46.4	59.0	0.0	59.0	53.0	
05 02 01 03	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ტოლეთის სამუსიკო სკოლა	40.0	40.4	0.0	40.4	39.0	
05 02 01 04	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გოლის თეძის სამუსიკო სკოლა	66.3	61.0	0.0	61.0	55.0	
05 02 01 05	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დ.ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა	70.0	60.9	0.0	60.9	55.0	
05 02 01 06	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ოდიბა ეთოლაშის სამუსიკო სკოლა	63.0	41.8	0.0	41.8	37.9	
05 02 01 07	აარსებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა	56.2	60.3	0.0	60.3	56.0	

კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2015 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გადმოდებული ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელ ბიუ ფონ გამო ტრან
05 02 02	აამპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი	339.9	290.1	0.0	290.1	308.3	
05 02 03	აამპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკის გაერთიანება	55.0	7.1	0.0	7.1	0.0	
05 02 04	აამპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	90.1	84.4	0.0	84.4	77.7	
05 03	შპს „სამტრედიის მაგჩე"	69.9	68.4	0.0	68.4	65.0	
05 04	აამპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი	43.8	42.8	0.0	42.8	38.9	
05 05	ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება.	44.9	39.3	0.0	39.3	42.7	
05 05 01	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	44.9	21.0	0.0	21.0	15.2	
05 05 02	კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	0.0	18.3	0.0	18.3	27.5	
05 06	ხოსი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება	260.0	260.0	0.0	260.0	250.0	
05 07	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მუნიციპალიტეტის	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1.019.2	1.365.9	90.5	1.275.4	1.577.7	2
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	92.0	109.3	86.5	22.8	271.0	2
06 01 01	აამპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი	92.0	109.3	86.5	22.8	109.5	8
06 01 02	სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული ცენტრის მშენებლობა	0.0	0.0	0.0	0.0	161.5	1
06 02	სოციალური პროგრამები	927.2	1.256.6	4.0	1,252.6	1,306.7	
06 02 01	აამპ „სახლი ოჯახისთვის"	170.8	176.6	0.0	176.6	170.0	
06 02 02	აამპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საათნოების სახლი"	137.9	106.2	0.0	106.2	97.7	
06 02 03	დედათა და ბავშვთა დახმარება	133.4	133.0	0.0	133.0	124.0	
06 02 04	სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	466.1	823.6	0.0	823.6	895.0	
06 02 05	დაკრძალვის ხარჯი	6.5	4.0	4.0	0.0	10.0	
06 02 06	დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარება 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით	12.5	13.2	0.0	13.2	10.0	

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალ

დანანილების კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017
			სულ	მათ შორის		სულ
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
701	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	2,236.9	2,614.4	0.0	2,614.4	2,559.2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ყოველსფერი და ყოველგვარი საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,236.9	2,614.4	0.0	2,614.4	2,559.2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,236.9	2,614.4	0.0	2,614.4	2,545.2
70112	ფიზიკური და ფინანსური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	14.0
702	**თავდაცვა**	98.3	109.7	95.2	14.5	115.0
704	**ეკონომიკური საქმიანობა**	2,482.1	3,192.1	2,818.6	373.5	5,692.3
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	5.0	0.0	0.0	0.0	3.6
70421	სოფლის მეურნეობა	5.0	0.0	0.0	0.0	3.6
7045	**ტრანსპორტი**	2,456.7	3,187.1	2,818.6	368.5	5,683.7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,456.7	3,187.1	2,818.6	368.5	5,683.7
7049	**სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში**	20.4	5.0	0.0	5.0	5.0
705	**გარემოს დაცვა**	104.0	23.0	0.0	23.0	11.4
7051	**ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება**	30.0	11.4	0.0	11.4	11.4
7056	**სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში**	74.0	11.6	0.0	11.6	0.0
706	**საბინაო-კომუნალური მეურნეობა**	2,367.0	2,052.5	669.1	1,383.4	2,390.5
7061	**ბინათმშენებლობა**	95.5	99.3	0.0	99.3	661.4
7062	**კომუნალური მეურნეობის განვითარება**	609.7	647.2	0.0	647.2	685.0
7063	**წყალმომარაგება**	633.8	18.9	0.0	18.9	46.7
7064	**გარე განათება**	279.5	337.6	0.0	337.6	366.4
7065	**სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში**	728.5	949.5	669.1	280.4	631.0
707	**ჯანმრთელობის დაცვა**	92.0	109.3	86.5	22.8	271.0
7074	**საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მომსახურება**	92.0	109.3	86.5	22.8	109.5
7076	**სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში**	0.0	0.0	0.0	0.0	161.5
708	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	3,681.9	2,735.9	0.0	2,735.9	2,155.8
7081	**მაუწყებლობა, დასვენებისა და სპორტის სფეროში**	2,232.7	1,483.7	0.0	1,483.7	918.6
7082	**მომსახურება კულტურის სფეროში**	1,144.3	953.1	0.0	953.1	945.4
7084	**რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა**	304.9	299.1	0.0	299.1	291.8
709	**განათლება**	1,640.6	1,522.8	0.0	1,522.8	1,928.5
7091	**სკოლამდელი აღზრდა**	1,399.5	1,348.0	0.0	1,348.0	1,432.0
7092	**ზოგადი განათლება**	0.0	0.0	0.0	0.0	325.4
70923	**სამუშაოები ზოგადი განათლების**	0.0	0.0	0.0	0.0	325.4
7098	**სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში**	241.1	174.8	0.0	174.8	171.1
710	**სოციალური დაცვა**	927.2	1,253.7	4.0	1,249.7	1,306.7
7102	**ხანდაზმულობა სოციალური**	308.7	279.9	0.0	279.9	267.7
7104	**ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა**	133.4	133.0	0.0	133.0	124.0
7107	**სოციალური გაუცხოების საკითხები, რომელიც არ მიეკუთვნება კლასიფიკაციას**	466.1	823.6	0.0	823.6	895.0
7109	**სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში**	19.0	17.2	4.0	13.2	20.0
	სულ	13,958.0	13,613.4	3,673.1	9,940.0	16,430.4

გარდაიცვალა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლის დამსახურებული და ღვაწლმოსილი პედაგოგი **თამარ მეგენეიშვილი**. ქალბატონი თამარი 3 ათეული წლის განმავლობაში დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას. ის გამოირჩეოდა როგორც გარეგნული, ისე სულიერი სილამაზით, ჰუმანურობით, შესაშური პროფესიონალიზმით. განგებამ მას შვილების გარდაცვალების ტკივილიც არგუნა, თუმცა მასში არ ჩამკვდარა კაცთმოყვარეობისა და მიმტევებლობის გრძნობა. იგი ყოველთვის იყო ერთგული მეგობარი და შესანიშნავი მასპინძელი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი კეთილი სული!

დაბლა გომის საჯარო სკოლა

მეგობრის ხსოვნას

პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მას სისადავით, უბრალოებით, ინტელექტით გამოარჩევდით მრავალთაგან.

დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა ღვაწლმოსილ პედაგოგ **ამირან მსხილაძესთან.**

დასანანია, რომ იგი აღარაა ამ ქვეყნად, თუმცა, კოლეგები, მეგობრები მარად შეინახავენ მის ხსოვნას.

ნათელში იყოს!

ეკეძრი ურუშაძე

საქართველოს რკინიგზის დასავლეთის ელ. მომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია თანაუგრძნობს მაია და მამუკა ბაკურაძეებს მამის

აბიბო ბაკურაძის

გარდაცვალებას.

"მედიჰელფი" პროფესიონალების სიტყვა ადგილობრივ მედიცინაში

სამედიცინო კლინიკა ჯავახიშვილის ქუჩაზე, "საქართველოს ბანკის" მიმდებარედ, სამტრედიის სამედიცინო საზოგადოებას თბილისელი სამედიცინო პერსონალით შეავსებს. ინგოროყვას, ჩაფიძის და სხვა ცნობილი კლინიკების წარმომადგენლები ახლად გახსნილ "მედიჰელფში", რომლის სათაო კლინიკა დედაქალაქშია, სხვადასხვა გამოკვლევებს ჩაატარებენ. სასიამოვნო გარემო, ახლებური ინტერიერი, ძვირადღირებული და უახლესი მოდელის აპარატურა სამტრედიულ სამედიცინო სფეროში ახალი სიტყვაა. კლინიკის დირექტორი სოსო ახალაძე ხაზს უსვამს, რომ "ყველა განხრის სპეციალისტი, რაც ადამიანს შეიძლება დასჭირდეს, სამტრედიაში არ იყო და აქაურებს ქუთაისში ან დედაქალაქში უხდებოდათ ჩასვლა სამკურნალოდ. შეურაცხყოფად არ მინდა აქაურმა ექიმებმა მიიღონ, მაგრამ ეს ფაქტია. აპარატურაც იმ დონის გვაქვს, იშვიათი რომ არის რეგიონებში კი არა, დიდ ქალაქებშიც, ქვეყნის მასშტაბით." როგორც გაირკვა, დანარჩენ დღეებში ჩაწერა იწარმოებს, შაბათ-კვირას კი დედაქალაქიდან ჩამოსული სპეციალისტები გასინჯავენ და დიაგნოზს დაუდგენენ პაციენტებს.

დედაქალაქში "მედიჰელფი", უკვე როგორც ბრენდი, 2005 წლიდანაა ცნობილი. იგი თანამშრომლობს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიებთან. სამტრედიაში კლინიკის გახსნა დასავლეთ საქართველოში ბაზრის კვლევის შედეგად გადავწყვიტეთ. როგორც აღმოჩნდა, ყველა განხრის სპეციალისტი არ ჰყავს ამ საკვანძო რეგიონს. რადგან დედაქალაქიდან ჩამოდიან სპეციალისტები, მომსახურების ფასებმა არ უნდა შეგვაშინოს, რამეთუ ამ სეგმენტშიც ბაზრის კვლევა გათვალისწინებულია, ანუ ფასები პროვინციის შესაძლებლობებს მორგებული." _ ამბობს კლინიკის მენეჯერი ქეთევან ჯაფარიძე.

ვიოლინოს ფონზე, ე.წ. ევროპულად მოწყობილ "ალა-ფურშეტზე", სასიამოვნო ინტერიერის გათვალისწინებით, "მედიჰელფის" საზეიმო გახსნა მართლაც შთამბეჭდავი გახლდათ. ახლა მთავარია, პროვინციის ბაზარს მორგებული ფასები და მოწვეულ ექიმთა კვალიფიკაციაც ასევე შთამბეჭდავი იყოს, რადგან, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში სამედიცინო სფეროში პაციენტთა უკმაყოფილო ხმაური ხშირი შემთხვევაა. და არც ისაა ვინმესთვის უცხო, რომ ხშირ შემთხვევაში სწორედ პროვინციაში დასაქმებული ექიმები სჯობნიან პროფესიონალიზმით დედაქალაქის სახელგანთქმული კლინიკების წარმომადგენლებს.

თეა ბაბუნაშვილი

ვულოცავთ!

კახა კაცაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენო კახა! ჩვენს შორეულ ახლობელს ულევი სიხარული, ბედნიერება დაგებედოს. იხარე და იმზეგრძელე.

"სამტრედიის მაცნე"

ზურაბ სანიკიძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს ოჯახთან ერთად. იდღეგრძელეთ!

"სამტრედიის მაცნე"

საზოგადოება "სამტრედიელის" თავმჯდომარეს ტატა გოგუაძესა და გოჩა სანიკიძეს ვულოცავთ ბედნიერებას. მარადიული სიყვარულით გეცხოვროთ. უფალმა გაგაძლიეროთ!

საზოგადოება "სამტრედიელი"

გაზეთი **"სამტრედიის მაცნე"** საუკეთესო სურვილებით გაბედნიერებას ულოცავს **ტატა გოგუაძესა და გოჩა სანიკიძეს.**

როცა მინისტრი ვიყავი,
მაგრად ვუყვარდი ბავშვებს,
არ დამაცალეს, გამიშვეს,
გადამაყოლეს ვაშლებს.

სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქუჩის № 13-ში, რესტორან "ყაზბეგის" გვერდით მდებარე აფთიაქის მეორე სართულზე გაიხსნა "ეკას ნამცხვრის სახლი". გთხოვთ, ისარგებლოთ ჩვენი მომსახურებით და დაგვირეკოთ ტელეფონზე: 599 98 80 58.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა